ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №101/ბ

ქ. თბილისი ,,13” ,,05“ 2022 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის ილია ღუდუშაურის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,პრინტ ოფისი“, შემდგომში “მიმწოდებელი“, დირექტორის გიორგი თაქთაქიშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა ,,ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის“ 2022 წლის ასიგნებების ფარგლებში, სამინისტროს საჭიროებისათვის საჩივრის ყუთების (CPV კოდი: 44617000) სახელმწიფო შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი: 2800 (ორი ათას რვაასი) ლარად (შემდგომში ,,ხელშეკრულების ღირებულება”).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. მოსაწოდებელი საქონლის აღწერილობა, რაოდენობა და ფასები განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მოწოდების პირობები:

4.1. ვადები:

4.1.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. ადგილი:

4.2.1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №144.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის მიერ მომზადებული ინსპექტირების აქტის საფუძველზე შედგენილი მიღება–ჩაბარების აქტით.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს ,,შემსყიდველისათვის“ საქონლის მიწოდება დროულად მიმწოდებლის მიერ მითითებულ მისამართზე;

7.1.2. დროულად უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით (ტრანსპორტირების ხარჯის ჩათვლით);

7.1.3 დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.2.2. დროულად განიხილოს ,,მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. ,,მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. ,,შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხის და მოცულობის კონტროლი;

8.2.2 ცალხმრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

9. გარანტია

9.1. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი, ექსპლუტაციაში არ მყოფი, მოწოდებულ საქონელზე უნდა გავრცელდეს საგარანტიო ვადა, საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

9.2. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მხრიდან წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 48 საათის განმავლობაში დაადგინოს პრობლემების გამომწვევი მიზეზი და გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში) უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა, ხოლო საჭიორების შემთხვევაში (რაც გულისხმობს ქარხნული წუნის არსებობას და მექანიკური ზემოქმედების გარეშე დაზიანებას) განახორციელოს წუნდებული საქონლის ან შეკეთება ან შეცვლა ახლით, მსგავსი ან უკეთესი მახასიათებლების მქონე საქონლით, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ ხელშეკრულებაში ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების ცვლილება

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4. დაუშვებელია ერთეულის ფასის ისეთი ცვლილება, რომელიც გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდას.

11.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

14.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს და ნაკლიანი შესრულების შემთხვევაში) მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო (ნაკლიანი შესრულების შემთხვევაში - ნაკლის სრულად აღმოფხვრამდე) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ვალდებულების შესრულებამდე.

14.3. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

14.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი: შიდა აუდიტის, მონიტორინგისა და ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამმართველოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: არჩილ კერვალიშვილი.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალხმრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

16.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

17.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით.

17.3. ხელშეკრულების მე-9 მუხლთან მიმართებაში ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება საგარანტიო პირობების ამოწურვამდე.

18. დასკვნითი პირობები

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილი და ხელმოწერილია ელექტრონულად (დოკუმენტზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დოკუმენტი დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი).

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ქ. თბილისი, 0119, აკაკი წერეთლის გამზირი №144. საიდენტიფიკაციო კოდი: 202486559 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა N200122900	შპს ,,პრინტ ოფისი“ ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, №24ბ, ბინა 46. ს.ს. ,,ბანკი ქართუ” ბანკის კოდი: CRTUGE22 ა/ა GE96CR0120007001743602 ს/კ 404429506
_____	_____
ილია ღუდუშაური **მინისტრის მოადგილე**	**გიორგი თაქთაქიშვილი** **დირექტორი**

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

Digitally signed by Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia
Date: 2022.05.13 15:40:49 +04'00'

Giorgi Taktakishvili

Digitally signed by Giorgi Taktakishvili
DN: cn=Giorgi Taktakishvili, serialNumber=PNOGE-01007015424, givenName=Giorgi, sn=Taktakishvili, o=Citizen, c=GE
Date: 2022.05.13 14:20:30 +04'00'

დანართი №1

საქონლის დასახელება	**საქონლის ტექნიკური მახასიათებლები**	**რაოდენობა**	**განზომილების ერთეული**	**ერთეულის ფასი**	**ჯამური ღირებულება**
საჩივრის ყუთი	მასალა: 8 მილიმეტრიანი პვხ-ისგან. ყუთის შიდა ზომები: სიმაღლე: 35 სმ. სიგანე: 25 სმ. სიღრმე: 10 სმ. ჭრილი ზედა მხარეს ყუთის თავსახურზე. ყუთი გაიღება ქვედა მხრიდან, ბოქლომიანი საკეტით (გასაღებების კომპლექტით). ყუთს კედელზე მყარად დასამაგრებლად გააჩნია 2 ცალი კედელზე სამაგრი მოწყობილობა (შესაბამისი ზომის ჭანჭიკებით). ყუთის წინა მხარეს განთავსებულია მაღალი ხარისხის პრიალა სტიკერი ზომით: 24x12 სმ.	50	ცალი	56 ლარი	2800 ლარი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ შპს ,,პრინტ ოფისი“-ს მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ი. ღუდუშაური

გ. ენუქიძე

შ. ჭილაშვილი

ა. მამალაძე

ა. კერვალიშვილი